საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 1066

06 11 2019 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სეტემბრის №89/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 28 ოქტომბრის №215/ნ ბრძანების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანებაში და ბრძანების დანართი №8 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

004082

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის მოვალეობის

შემსრულებელი ეკატერინე ბაღიშვილი

დანართი № 8

შემოვლის ბარათი

მოცემული შემოვლის ბარათი ივსება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ნებისმიერი თანამშრომლის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში. გათავისუფლებულ თანამშრომელს შემოვლის ჩასატარებლად ბარათს გადასცემს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს თანამშრომელი. მოცემული ბარათის სრულად შევსებით ბარათზე ხელმომწერი პირები გათავისუფლებულ თანამშრომელს უდასტურებენ ცენტრის წინაშე მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის დავალიანების არქონას. ხელმოწერა არ გაიცემა დავალიანების არსებობის შემთხვევაში, არსებული ხარვეზის გამოსწორებამდე. სრულად ხელმოწერილი შემოვლის ბარათი უნდა გადაეცეს ადამიანური რესურსების სამმართველოსა და ინახებოდეს გათავისუფლებული თანამშრომლის პირად საქმეში. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, ცენტრი იტოვებს უფლებას, გათავისუფლებული თანამშრომლის მიმართ გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

------ თარიღი ----- თვე ------ წელი

გათავისუფლებული თანამშრომლის (სახელი, გვარი, თანამდებობა)

უშუალო ხელმძღვანელი	(სახელი, გვარი)	/_____/ (ხელმოწერა)
შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	(სახელი, გვარი)	/_____/ (ხელმოწერა)
ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი		/_____/ (ხელმოწერა)
შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საწყობის გამგე)	(სახელი, გვარი)	/_____/ (ხელმოწერა)
არქივარიუსი	(სახელი, გვარი)	/_____/ (ხელმოწერა)
ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი	(სახელი, გვარი)	/_____/ (ხელმოწერა)